

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სხდომის  
ოქმი №19

2020 წლის 4 დეკემბერი, 12:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: საკრებულოს თავმჯდომარე-კარლო ჯამბურია.  
სხდომას ესწრებოდნენ:  
საკრებულოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

-1-

**მოისმინეს:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ა. ბაინდურაშვილი/

**ე. ლომთაძე:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის მე-2 მუხლს დაემატოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მოღვაწე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებების სახელის ხსოვნა და უკვდავყოფა (მლოკოსევიჩი, გოგიტა ბარამიძე).

**კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესი დანართის შესაბამისად.

/დაგენილება №32 თან ერთვის/

-2-

**მოისმინეს:**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2021 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/მომხს: ბ. შუბითიძე/

**კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით (მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0), გადაწყვიტეს:**

მოწონებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2021 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები, დანართის შესაბამისად.

/განკარგულება №40-ი თან ერთვის/

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია